

დანართი 1

დამტკიცებულია ა(ა)იპ "მოსწავლე ახალგაზრდობის

ეროვნული სასახლის დირექტორის

2016 წლის 1 დეკემბერს N 71 ბრძანებით

ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

გასართობებისა და თამაშობების საქალაქო კონკურსი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იდეის ავტორი - ციალა სალარაძე

შემეცნებით თამაშობათა განყოფილების ხელმძღვანელი/პედაგოგი)

მეთოდისტი - მარინე გელაშვილი

თბილისი 2016 წელი

ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" ატარებს გასართობებისა და თამაშობების საქალაქო კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სკოლების ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებს.

კონკურსის მიზანია:

სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავება და სრულყოფა, დამოუკიდებელი მუშაობისადმი ინტერესის გამძლიერება, შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირება, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების დახვეწა, საქართველოს სხვა კუთხეში გავრცელებული თამაშობების, გასართობების, საბავშვო სიმღერების, ხალხური გამონათქვამების შეგროვება.

კონკურსის ჩატარების ეტაპები:

- კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად: სასკოლო, რაიონული და საქალაქო, სასკოლო და რაიონული ტურები ჩატარდება თებერვლის თვეში
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სკოლებმა განაცხადი უნდა შეიტანონ "სასახლის" შემეცნებით თამაშობათა სტუდიაში (განყოფილება).
- რაიონულ ტურში გამარჯვებული მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საქალაქო კონკურსში, რომელიც ჩატარდება აპრილის თვეში თბილისში "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში".

კონკურსის თემეტიკა:

- საქალაქო კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს: გამოცანები, შარადები, სახალისო ამოცანები, სახუმარო კითხვები, ანდაზები, თავსატეხები, ვიქტორინები, რებუსები და სხვა.
- კონკურსის თემატიკა არ არის შეზღუდული და შეიძლება გამოხატავდეს ბავშვთა ნებისმიერ გატაცებასა და ინტერესს. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც სასკოლო, ისე სახატავ რვეულში, ვატმანზე, საპრეზენტაციო დაფაზე, ვიდეორგოლის სახით და სხვა.
- კონკურსის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.
- გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სასახლის სიგელებით.